



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №44/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 07 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2017 წელს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების, -- -- და -- -- მიმართ. დავა იყო სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსის და ეხებოდა, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას.

სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მიმართა მხარეებს - საქმე ძალიან ადვილია და მისი დასრულება ერთ სხდომაშიც არის შესაძლებელი. მოსამართლემ ასევე მიუგო მოსარჩელეს, რომ „მას თავის დროზე უნდა გაეთვალისწინებინა ყველაფერი“, „რამდენი თანხა ექნებოდა გადასახდელი 2006 წლიდან დავის დაწყებამდე, რომ დასჭირვებოდა სხვა ბინის ქირაობა“, ახლა ჯობდა, „წასულიყო მორიგებაზე“. ამით -- -- გამოავლინა მოპასუხისადმი აშკარა მიკერძოებულობა და წინასწარ შეუქმნა მხარეებს იმის მოლოდინი, რომ არ დააკმაყოფილებდა -- -- სარჩელს. საჩივრის ავტორის განცხადებით, -- -- გააჩნდა პირადი დაინტერესება საქმის განხილვის მიმართ და წინასწარ იცოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა საბოლოოდ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 19 ივნისს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ და სამკვიდროს მოწმობის, ნასყიდობის და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო უძრავ ნივთზე მისი მესაკუთრედ აღიარება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა, სადავო ქონებაზე ყადაღის დადება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 20 ივნისის განჩინებით -- -- მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს, -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ნივთის გასხვისება ან იპოთეკით დატვირთვა. მოპასუხის წარმომადგენელს აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2017 წლის 22 ივნისს.

2017 წლის 05 ივლისს მოპასუხეებმა, -- --, -- -- და -- -- სასამართლოს წარუდგინეს ერთობლივი შესაგებელი. 2017 წლის 12 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეებისათვის (-- --, -- --, -- --) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2017 წლის 16 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, სარჩელის -- -- მითითებულ მისამართზე ჩაბარება ვერ ხერხდებოდა. 2017 წლის 17 აგვისტოს მოსარჩელემ კიდევ ერთი განცხადებით მიმართა მოსამართლეს და 2017 წლის 16 აგვისტოს განცხადებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვა -- -- სარჩელის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2017 წლის 22 აგვისტოს განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- მთავარ სამმართველოს დაევალა მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარება. საქმეში არსებული დოკუმენტით დასტურდება, რომ -- -- გადასაცემი სარჩელი და თანდართული საბუთები 2017 წლის 17 ოქტომბერს ჩაბარდა -- -- (მოპასუხის შვილს).

2018 წლის 11 მაისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 26 ივნისს. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლემ ჰკითხა მხარეებს, „მორიგების შესახებ რა პოზიციები გაქვთ, ხომ არ ყოფილა მოლაპარაკება ამის თაობაზე?“ სარჩელის ავტორის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის მზად იყო საქმის განხილვა მორიგებით დაესრულებინა, თუმცა, მოწინააღმდეგე მხარესთან შთანხმების მიღწევა ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა. -- -- ისევ მიუგო მოსარჩელეს და განუმარტა, რომ შექმნილ ვითარებაში, შეიძლება მიზანშეწონილი ყოფილიყო მოწინააღმდეგე მხარისათვის გაკვეთილი საფასურის შეთავაზება, არავინ იცოდა, როგორ და როდის დასრულდებოდა სასამართლო დავა. შეიძლებოდა, საქმის განხილვა მალე დასრულებულიყო ან დასრულებულიყო 2 წელიწადში. გარდა ამისა, იმის მტკიცება, რომ სარჩელის ავტორი უცილობლად მოიგებდა საქმეს, არ იქნებოდა სწორი. ფაქტი იყო ისიც, რომ მოპასუხე არ იყო სადავო ქონებაში „ძალით შეჭრილი“ და ნამდვილი სამართებრივი ურთიერთობის არსებობა, ამ შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი ჩანდა. მხარეებმა მორიგებისათვის გარკვეული დრო ითხოვეს და საქმის განხილვა 2018 წლის 28 სექტემბერს გადაიდო.

2018 წლის 26 ივნისს მოპასუხეებმა, --, -- და -- -- სასამართლოს წარუდგინეს დაზუსტებული შესაგებელი. 2018 წლის 28 სექტემბრის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო სასამართლო განხილვა გადაიდო 2018 წლის 09 ნოემბერს. 2018 წლის 09 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააყენა რამოდენიმე შუამდგომლობა. მოსარჩელის შუამდგომლობა ნოტარიუსისაგან მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო ორი შუამდგომლობა, -- პოლიციის დეპარტამენტის -- -- სამმართველოდან და -- -- შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოსამართლემ დააკმაყოფილა. ამდენად, საქმე ჩაითვალა მომზადებულად და საქმეზე მთავარი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 14 დეკემბერს.

2018 წლის 09 ნოემბერს მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, რამოდენიმე მოწმის დაკითხვა. სარჩელის ავტორის განცხადებით, აღნიშნული მოწმეები დაადასტურებდნენ მხარეებს შორის ხელშეკრულების დადების ფაქტს.

2018 წლის 13 დეკემბერს მოპასუხეების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლეს და გადატვირთული საპროცესო გრაფიკის გამო საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადება ითხოვა. 2018 წლის 14 დეკემბრის სხდომა გადაიდო 2019 წლის 29 იანვარს. 2019 წლის 29 იანვრის სასამართლო სხდომაზე, საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, გადაიდო 2019 წლის 26

თებერვალს.

2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება (დასაბუთებული) მოპასუხეებს, --, -- და -- -- ჩაბარდა 2019 წლის 01 აპრილს, ხოლო მოპასუხეს, -- -- 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2019 წლის 08 აპრილს.

2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის ავტორმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2019 წლის 10 აპრილს. წინამდებარე დასკვნის მომზადების დროისათვის, საქმის განხილვა -- სააპელაციო სასამართლოში არ დასრულებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 07 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება, „მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

იმისათვის, რომ სახეზე იყოს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, საჭიროა დადასტურდეს მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის საბოლოო შედეგთან დაკავშირებული აზრის გამოთქმის ფაქტი. ამდენად, აუცილებელია დადგინდეს, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის ქმედება განსახილველ საქმესთან მიმართებით პოზიციის წინასწარ გამჟღავნებად და გამოხატულების რა ფორმა შეიძლება ჰქონდეს ამგვარ ქმედებას. საკითხზე განმარტებას გვაძლევს როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო პრაქტიკა და სარეკომანდაციო ხასიათის სამოსამართლო ეთიკის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე ვალდებულია წინასწარ შექმნილი დამოკიდებულების გარეშე შეაფასოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და საქმეზე მიიღოს მიუკერძოებელი, ობიექტური გადაწყვეტილება. ხსენებული ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, „სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.“

„მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედი და მართლმსაჯულების ფუნქციონირების უმთავრესი პრინციპია.“¹ სასამართლო უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პიროვნული ტენდენციურობისაგან და მიკერძოებისაგან თავისუფალი.²

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის შესაბამისად, „თავისი მოვალეობების შესრულებისას

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 02.03.2017 წლის გადაწყვეტილება

² ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული სასამართლოს 10.01.1996 წლის გადაწყვეტილება „პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.

მოსამართლე თავისუფალია რაიმე შერჩევის, წინასწარ შექმნილი აზრისა თუ მიკერძოებისაგან.“ აღნიშნული მუხლის კომენტარების 56-ე აბზაცის მიხედვით, „მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი დამოკიდებულებისა და აზრის არა მხოლოდ არარსებობას, არამედ მის ასეთად აღქმასაც.“ იგივე კომენტარების 57-ე აბზაცი პირდაპირ იძლევა „წინასწარ შექმნილი აზრის“ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, „წინასწარ შექმნილი აზრი – ეს არის თვალსაზრისი, პოზიცია, რომელიც მსჯელობასა და დასკვნებზე ახდენს გავლენას და ხელს უშლის მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციების მიუკერძოებელ შესრულებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. თუმცა ამის ხელაღებით, ამგვარი დამოკიდებულების ხასიათის გაუთვალისწინებლად მტკიცება არ შეიძლება. თუ, მაგალითად, მოსამართლე უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ძირითად უფლებებს, ეს არ იძლევა საფუძველს, განვაცხადოთ, რომ მას მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს განსახილველი საქმისადმი, თუკი კანონი ნათლად და ცალსახად არ მოითხოვს სხვაგვარ მიდგომას.“

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 26 ივნისის მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ ჰკითხა მხარეებს, „მორიგების შესახებ რა პოზიციები გაქვთ, ხომ არ ყოფილა მოლაპარაკება ამის თაობაზე?“ სარჩელის ავტორის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის მზად იყო საქმის განხილვა მორიგებით დაესრულებინა, თუმცა, მოწინააღმდეგე მხარესთან შთანხმების მიღწევა ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა. -- -- ისევ მიუგო მოსარჩელეს და განუმარტა, რომ შექმნილ ვითარებაში, შეიძლება მიზანშეწონილი ყოფილიყო მოწინააღმდეგე მხარისათვის გაკვეთილი საფასურის შეთავაზება, არავინ იცოდა, როგორ და როდის დასრულდებოდა სასამართლო დავა. შეიძლებოდა, საქმის განხილვა მალე დასრულებულიყო ან დასრულებულიყო 2 წელიწადში. გარდა ამისა, იმის მტკიცება, რომ სარჩელის ავტორი უცილობლად მოიგებდა საქმეს, არ იქნებოდა სწორი. ფაქტი იყო ისიც, რომ მოპასუხე არ იყო სადავო ქონებაში „ძალით შეჭრილი“ და ნამდვილი სამართებრივი ურთიერთობის არსებობა, ამ შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი ჩანდა.

ამდენად, მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ გაკეთებული განმარტებები შეიძლება ჩათვლილიყო ისეთი ინფორმაციის შემცველად, რომელიც არა მარტო სასამართლო დავის მონაწილეებს, არამედ ობიექტურ გარეშე დამკვირვებელსაც უჩენდა ეჭვს მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის ბოლო ნაწილს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლის მიერ საქმის საბოლოო შედეგზე წინასწარ აზრის გამოთქმა არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად, თუ ასეთი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას კანონმდებლობა მოსამართლეს პირდაპირ უდგენს. ასეთ საგამონაკლისო შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მოწოდება, განხორციელებული მხარეთა მორიგებს მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მორიგების შემთხვევაში ამავე განჩინებით სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს. იგივე წესი გავრცელდება სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.“

იმავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე

მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.“ ხსენებული ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.“

განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ მოსამართლემ 2018 წლის 26 ივნისის მოსამზადებელ სხდომაზე მოუწოდა მხარეებს დავა მორიგებით დაესრულებინათ. მორიგების მისაღწევად მოსამართლემ გამოხატა გარკვეული პოზიცია საქმის საბოლოო შედეგთან მიმართებაში, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს გააჩნდა ასეთი ქმედების განხორციელების უფლება და მისი ქმედება უპირობოდ ექცევა იმ საგამონაკლისო შემთხვევის ფარგლებში, რომელიც მოცემულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის ბოლო ნაწილში.

ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №44/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**